**კლუბის სახელწოდება:** „პატარა რეპორტიორები“

**კლუბის ხელმძღვანელი და მისი საკონტაქტო ინფორმაცია:** თინათინ კურტანიძე.

T: 574 75 03 11; tiko.kurtanidze@cea.ge

**კლუბის გაკვეთილების რაოდენობა:** 2 შეხვედრა კვირაში.

**თითოეული გაკვეთილის ხანგრძლივობა:** 40-45 წუთი.

კლუბი განკუთვნილია მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 კლასის მოსწავლეებისათვის.

**მოსწავლეთა მინიმალური და მაქსიმალური რაოდენობა:** 6-12 მოსწავლე.

**კლუბის მიზანია** მოსწავლეებში მედიაწიგნიერების, კომუნიკაციის, კრეატიულობის, გუნდური მუშაობისა და პრეზენტაციის უნარების განვითარება. „პატარა რეპორტიორები“ ადრეული ასაკიდანვე პასუხისმგებლიან და კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქეების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

მოსწავლეები შეძლებენ: აზრის ზუსტად და მოკლედ ფორმულირებას, ინფორმაციის გადმოცემას აუდიტორიისთვის, სასკოლო ნიუსების მომზადებას, თავიანთი პირველი გადაცემის ან რეპორტაჟის ჩაწერას.

**ძირითადი მიდგომები, მეთოდები, აქტივობები:** თამაშებზე დაფუძნებული სწავლება, მარტივი ნიუსტექსტების წერა, კითხვითი და გამართული მეტყველება, კონკრეტული მაგალითების განხილვა, გადაღების სპეციფიკის შესწავლა, ნიუსის, რეპორტაჟისა და გადაცემის განსხვავება, რეპორტაჟის ან გადაცემის დაგეგმვა და ჩაწერა, პრაქტიკული დავალებების შესრულება, როლური თამაშები, გუნდური მუშაობა.

**ძირითადი რესურსები:** კამერიანი ტელეფონი, კალმები, ბლოკნოტები.

**კლუბის მუშაობის შუალედური და საბოლოო შედეგები:** კლუბის წევრების მონაწილეობით ჩაიწერება საბავშვო საინფორმაციო ვიდეო, რომელიც შეიძლება გავრცელდეს აკადემიის სოციალურ მედიაში. ასევე, მოეწყობა მშობლებისთვის სადემონსტრაციო გაკვეთილი.

კლუბის შედეგი არა მხოლოდ უნარებში აისახება, არამედ მოტივაციას გაუზრდის მოსწავლეებმა საკუთარი აზრი ღიად გამოხატონ და საზოგადოების წინაშე თამამად წარსდგნენ. კლუბის წარმატება, შესაძლოა, გახდეს აკადემიის მედიაპლატფორმის საფუძველი, რომელსაც მოამზადებენ თავად მოსწავლეები.

**კლუბის ხელმძღვანელის მოკლე რეზიუმე:**
https://www.cea.ge/_files/ugd/5d0fa9_2fcb0bf86f0d4e87a6ef70ad2f63e41a.pdf